



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 680

11 09 2012წ.

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურისთვის განკუთვნილი
ზოგიერთი არჩევითი საგნის სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 1 მაისის №455 ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებული კომისიის 2012 წლის 5 სექტემბრის №2 სხდომის ოქმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის“ მე-9 მუხლის 5¹ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილ ზოგიერთი არჩევითი საგნის სახელმძღვანელოს.

2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა, მათ შორის ვებგვერდზე განთავსება, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილი ზოგიერთი არჩევითი საგნის სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების შესახებ ინფორმაციის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



№	არჩევითი საგანი	სახელმძღვანელოს დასახელება	მოდულის რაოდენობა	კლასი	სახელმძღვანელოს სახეები (კომპლექტი)	ავტორი
1	შესავალი თანამედროვე ფიზიკაში	შესავალი თანამედროვე ფიზიკაში	ორმოდულიანი საგნობრივი პროგრამა	XI/XII კლასები;	მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი	გიორგი გედენიძე
2	ეკონომიკა და სახელმწიფო	ეკონომიკა და სახელმწიფო	ერთმოდულიანი საგნობრივი პროგრამა	XI/XII კლასები	მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი	ნინო ტალახაძე
3	მსოფლიო კულტურა	მსოფლიო კულტურა	ერთმოდულიანი საგნობრივი პროგრამა	X/XI/XII კლასები	მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი	ნინო ჩიქოვანი, ივანე წერეთელი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, მაია ქვრივიშვილი, გიორგი ნიჟარაძე (მასწავლებლის წიგნი ჟოზეფინა გუგავა)